112-ՈՒ ՁԱՐՈՒՄ...

N22,
ՄՅՈՒՍԻՍ, 2015

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე,
შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

13 ივნისის სტიქია თბილისში 83.4-6

ინტერვიუ 112-ის ხელმძღვანელთან 83.7-9

112-ის ცვლის უფროსი თამარ ჰაჯაორია 83.10-11

112-ის ფეისბუქის გვერდზე სპეციალური
საინფორმაციო ბანერები განთავსდა 83.12

შს მინისტრმა ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმს ხელი მოაწერა 83.13-14

შსს ევროპის რეგიონულ კონფერენციაზე 83.15-17

საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის
მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ 83.18-19

1 ივნისს 112-ის თანამშრომლები
მრავალშვილიან, გაჭირვებულ
ოჯახებს ესტუმრნენ 83.20

83.21 ჰოლანდიელი ჰოლიციელების ეკიპაჟებს
რამდენიმე ათასი ფუმფულა დათუნიკ დაემბა

83.22 ბოდიშის წერილი

83.23 ოპერატორის დღიური

83.24-28 ისტორიის ყველაზე ჯკვიანური და „თავხედური "
ძარცვები

83.29 ძაღლი უსინათლო ჰატრონის გადასარჩენად
ავტობუსს შეუვარდა

83.30-31 რას ხატავთ ფურცელზე? - ყველაზე საინტერესო ტესტი
საკუთარი თავის ამოსაცნობად

83.32 ქათამი ნეკერჩხლის სიროფით

83.33 მილოცვები

13 ივნისის სტიქია თბილისში

13 ივნისის ღამეს თბილისში მოსულმა ძლიერმა წვიმამ დედაქალაქში მძიმე ვითარება შექმნა. მოკლე დროში მოსულმა უხვმა ნალექმა წყნეთი-ბეთანიის დამაკავშირებელ გზაზე გამოიწვია მეწყერი. სტიქიის ეპიცენტრი მდინარე ვერეს ხეობა და ზოოპარკის ტერიტორია იყო.

სტიქიის შედეგად დაზიანდა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი და დაიტბორა საცხოვრებელი სახლები.

13 ივნისის სტიქიის შედეგად გარდაცვლილია - 19, ხოლო უგზო-უკვლოდ დაკარგულია 3 ადამიანი.

ადიდებულმა მდინარე ვერემ დატბორა ზოოპარკის ტერიტორია, რის შედეგადაც ვოლიერებიდან გაიქცნენ ცხოველები, მათ შორის მტაცებლები. ჩატარდა ოპერატიული ღონისძიებები მტაცებლებისგან მომდინარე საფრთხეების გასანეიტრალებლად და ცხოველების დასაბრუნებლად.

თბილისის ზოოპარკის ბინადარი ჰიპოპოტამი ბეგლარი, 13 ივნისს დატრიალებული სტიქიური უბედურების პოზიტიური სიმბოლო გახდა, ბეგიმ ვოლიერი დატოვა და თავის გადასარჩენად გმირთა მოედანზე გამოცურა. დილით გაღვიძებული ქალაქი შეძრა ამბავმა სტიქიის შესახებ ისევე, როგორც იმის გაგებამ, რომ ბეგი გმირთა მოედანზე აღმოჩნდა. ის მალევე გახდა მედიისა და სოც-ქსელების მთავარი გმირი, ასევე სწორედ ბეგი იყო უცხოური მედიის ეპიცენტრში. ამრიგად, ბეგი თბილისის ლეგენდად იქცა.

აღნიშნული მდგომარეობის გამო, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, 112-ში დაფიქსირდა ზარების უპრეცედენტო რაოდენობა. ამ პერიოდის განმავლობაში, 112-ის ოპერატორები ათასობით ადამიანს დაეხმარნენ შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გადაცემით.

www.112.ge

გამოყენებულია ფოტო მასალა საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის, ქ. თბილისის მერიის და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქის გვერდებიდან

ინტერვიუ 112-ის ხელმძღვანელთან

თბილისის სტიქიამ მომენტალურად შეცვალა ქვეყანაში არსებული დღის წესრიგი... მთელი რიგი სახელმწიფო უწყებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა 112. მოქალაქეები 112-ში რეკავდნენ, როგორც გადაუდებელი დახმარების, ისე სტიქიასთან დაკავშირებით თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციის მიღების მიზნით. ამან კი ერთ ხანს 112-ში შემავალი ზარების შეყოვნებაც კი გამოიწვია. მოგვიანებით უწყებას სპეციალური განცხადების გაკეთებაც კი მოუწია, სადაც მოქალაქეებს სთხოვდა, თავი შეეკავებინათ არაგადაუდებელი ზარებისგან.

112-ის დირექტორი, გიორგი ბიჭაშვილი „პრაიმტაიმთან" საუბრისას ამბობს, რომ უშუალოდ სტიქიის ღამეს და მომდევნო დღეებში უწყების ხელმძღვანელობამ სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა გააორმაგა.

გიორგი ბიჭაშვილი, 112-ის ხელმძღვანელი:

- იყო საუბარი, რომ თქვენი სამსახური ვერ აუდიოდა ზარების მიღებას და ხშირი იყო მოლოდინის რეჟიმი...

- დიახ, ამაზე მინდა გავაკეთო განმარტება. უმოკლეს დროში ჩვენთან შემოვიდა ძალიან ბევრი ზარი. წარმოიდგენეთ, მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენიმე საათის განმავლობაში ქოლ-ცენტრში შემოვიდა 10 ათასამდე ზარი. ისე სწრაფად შემოდიოდა ზარები, რომ ბუნებრივია, ზოგიერთ ზარს უწევდა მოლოდინის რეჟიმში ჩაყენება წუთნახევრიდან 4 წუთამდე. ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად, მოვახდინეთ ტექნიკური სამსახურის მობილიზება, რომელიც მუშაობდა იმისთვის, რომ დიდი დატვირთვის მიუხედავად, ზარები შეუფერხებლად შემოსულიყო. ამ პერიოდის განმავლობაში ათასობით ადამიანს დავეხმარეთ შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გადაცემით. უწყვეტ რეჟიმში ვაწვდიდით ინფორმაციას შსს-ს საგანგებო სიტუაცი-

ების მართვის სააგენტოს, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და სასწრაფო დახმარების სამსახურს. ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალურად სწრაფად და შეუფერხებლად მიგვეღო ყველა ინფორმაცია და გადაგვეცა რეაგირებისთვის, რასაც პირადად ვაკონტროლებდი.

- სულ რამდენი ოპერატორი მუშაობდა სტიქიის ღამეს და შემდგომ დღეებში?

- იმ საათებში, როდესაც ძლიერი წვიმა დაიწყო, ჭოლ-ცენტრში დაახლოებით 70-მდე თანაშრომელი იჯდა. ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ ყველა თანამშრომლის მობილიზება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გავაორმაგეთ მათი რაოდენობა, ეს მოხდა საღამოს 10 საათიდან. ავტომატურ რეჟიმში ავამოქმედეთ სარეზერვო ცვლები. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, წვიმის და ზოგადად, ამინდის გაუარესების შემთხვევებში ვრთავთ სარეზერვო ცვლებს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ასევე მოხდა ტექნიკური სამსახურის მობილიზება, რომელიც ზარების შეუფერხებელი შემოსვლის პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობდა.

- რამდენად ხშირი იყო ცრუ შეტყობინმებების შემთხვევები?

- წვიმის დაწყების მომენტიდან მოქალაქეები რეკავდნენ ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რაც არასწორი იყო და რამაც გამოიწვია ის გადატვირთვა, რაზეც ვსაუბრობდი. არ დაგვავიწყდეს, რომ მსგავსი მასშტაბის სტიქია თბილისს რამდენიმე ათწლეულია არ ახსოვს.

ის, რომ ყველა სამაშველო ბრიგადას აწერია - „112“, არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენი სამსახურის დაქვემდებარეგაში შემოდის. ამიტომ მინდა განვმარტო ჩვენი ფუნქციები: 112 არის ჭოლ-ცენტრი, რომელიც იღებს მოქალაქეების ზარებს და გადასცემს იმ სამსახურებს, ვისაც ევალება მომხდარზე რეაგირება. ჩვენი მთავარი მიზანია მოქალაქისგან ინფორმაციის მიღება და მისი ოპერატიული მიწოდება შესაბამისი სამსახურებისთვის, რასაც 24-საათიან რეჟიმში ვაწარმოებთ. ოპერატორმა უნდა განსაზღვროს თუ რომელ სამსახურს გადასცეს მოქალაქის შეტყობინება. ჩვენს ოპერატორებს სხვადასხვა სახის ტრენინგები აქვთ გავლილი, მუდმივად ვახდენთ თანამშრომლების გადამზადებას. ხშირად ოპერატორები არა ერთ კითხვას უსვამენ მოქალაქეებს მხოლოდ იმიტომ რომ ზუსტი ინფორმაცია მიიღონ მათგან, რათა რაიმე შეცდომა არ იქნეს დაშვებული. ეს ისევ მოქალაქეების სასიკეთოდ კეთდება.

ტრაგედიის შემდგომ, როცა გავრცელდა ინფორმაცია ცხოველების გაქცევასთან დაკავშირებით, რეკავდნენ მოქალაქეები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შენიშნეს რაღაც მტაცებელი. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყველა ასეთი ინფორმაცია მივაწოდოთ შესაბამის სამსახურს და ასეც ვიქცევით ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა ადგილზე გადამოწმების შემდეგ ირკვეოდა, რომ ან საერთოდ არანაირი ცხოველი არ ყოფილა, ან მაგალითად იყო კატა და მოეჩვენათ რომ მტაცებელი დადიოდა. პრინციპში, ადამიანების ემოციური და შოკური მდგომარეობიდან გამომდინარე ეს გასაგებიც არის.

- გასულ კვირას თქვენს სამსახურს განცხადების გაკეთებაც მოუწია, რომ არასაგანგებო სიტუაციების გარდა, მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ 112-ში დარეკვისგან...

- დიახ, როგორც კი დავინახეთ, რომ ძალიან ხშირი იყო არასაგანგებო და არაგადაუდებელი ზარები, მოვუწოდეთ მოქალაქეებს, რომ თავი შეიკავონ არაგადაუდებელი ზარებისგან, რომლებიც მოითხოვს ინფორმაციას და არა რეაგირებას. ზარების გადატვირთვა აქამდე ამ მასშტაბით არ მომხდარა. წარმოიდგინეთ, ჩვეულ რეჟიმთან შედარებით 3-ჯერ მეტი ზარი შემოვიდა, რაც თავისთავად, გარკვეულ შეფერხებებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამის მიუხედავად, 112-ის სამსახურის პარალიზება არ მომხდარა. რასაკვირველია იყო შეფერხებები, ხაზები გადაიტვირთა, რამაც გამოიწვია გასაგები უკმაყოფილება, თუმცა ამის პარალელურად, დღემდე უამრავი ადამიანი რეკავს და მადლიერებას გამოხატავს, როგორც ჩვენი სამსახურის, ასევე სხვა უწყებების მუშაობის გამო, მათი ზარები ძალიან ემოციური მოსასმენია.

- მტაცებელ ცხოველებთან დაკავშირებით რამდენად ხშირი იყო ზარები?

- დაახლოებით ექვსი დღის განმავლობაში დედაქალაქის მასშტაბით მტაცებელ ცხოველებთან დაკავშირებით 112-ში 500-მდე საქმეა დარეგისტრირებული, რაც გულისხმობს რომ ოპერატორმა მიიღო ინფორმაცია და გადასცა რეაგირებისთვის შესაბამის სამსახურს. მაგრამ ძირითადად იყო ზარები, როდესაც არ დადასტურდა მტაცებლის არსებობა, თუმცა კიდევ ვიმეორებ, ესეც გასაგებია. თუ მოქალაქეს მცირედი ეჭვი მაინც აქვს, რომ მტაცებელი შენიშნა, ცხადია გადამოწმება აუცილებელია და ამ ინფორმაციის გადაცემა ჩვენი ვალდებულებაა, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ მოქალაქემ ძაღლი დაინახა და მგლად მიიჩნია. ამავე დროს დაფიქსირდა ცრუ შეტყობინებები, რაც ბოროტ ხუმრობას წარმოადგენდა და ეს ძალიან სამწუხაროა.

„ჩვეულ რეჟიმთან შედარებით 3-ჯერ მეტი ზარი შემოვიდა, რაც თავისთავად გარკვეულ შეფერხებებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ამის მიუხედავად, 112-ს სამსახურის პარალიზება არ მომხდარა"

მირიან ბოქოლიშვილი
გაზეთი „პრაიმტაიმი"

სტიქიის დროს ძალიან ბევრმა პატრულის თანამშრომელმა და მაშველმა თავგანწირვა უჩვენა“

112-ის ცვლის უფროსი
თამარ პაჭკორია

112-ის ცვლის უფროსი თამარ პაჭკორია, 13-14 ივნისის თბილისის საშინელი ტრაგედიის დროს, მისი და მომიჯნავე სამსახურების მუშაობის შესახებ TV Free - ს უყვება და ამბობს, რომ სტიქიური უბედურების ზონაში პატრულის თანამშრომლებმა და მაშველებმა მაქსიმუმი გააკეთეს დაზარალებულთა დასახმარებლად და არაერთმა მათგანმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზიანებები და ტრამვები მიიღო. თამარ პაჭკორიას თქმით, გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 112 დროულად არ უშვებდა ბრიგადებს გამოძახების ადგილებში და არ პასუხობდა ზარებს, არასწორია.

მოგვიყევით მოკლედ, რა ხდებოდა 13 ივნისის ღამეს 112-ში?

ძლიერი წვიმის შემდეგ, როგორც კი დაფიქსირდა პირველი ზარი სტიქიასთან დაკავშირებით, პირველ რიგში რომ მივხვდით მასშტაბურობას, გამოძახებულ იქნა დამატებითი ჯგუფები, ოპერატორებს და დისპეტჩერებს ვგულისხმობ. ორი, სამი ცვლა ერთდროულად მუშაობდა, საგანგებო რეჟიმზე გადავიდა სრულიად 112 და არა მარტო 112 , ყველა მომიჯნავე სამსახური თავისთავად, სასწრაფო დახმარება, სახანძრო-სამაშველო და საპატრულო სამსახურები. დამატებითი ასეულები იქნა გამოძახებული. ძალიან დიდი რაოდენობით შემოდიოდა ზარები, ფაქტობრივად უპრეცედენტო რაოდენობა, ბოლო რამდენიმე საათში იმდენი, რაც არ შემოდის ორი, სამი დღის განმავლობაში, რამაც თავისთავად გამოიწვია რამდენიმეწუთიანი ინტერვალები პასუხებისას, თუმცა ყველა ოპერატორი იყო ჩართული, შესვენების გარეშე მუშაობდნენ. თვითმხილველი და მონაწილე ვარ ამ ყველაფრის. ყველა შემთხვევის ადგილი პარალელურად გადაეცემოდა ყველა სამსახურს - სამაშველოს, სასწრაფოს. ბრიგადები იდგნენ სპეც.დავალებით და ყველა გამოყვანილ მოქალაქეს ეხმარებოდნენ. უბრალოდ ერთი მომენტი იყო ის, რომ მისასვლელი გზა არ იყო და ყვე-

ლაფერს აკეთებდნენ იმისთვის რომ მაქსიმალურად მისულიყვნენ დაზარალებულებთან. ყველა იყო მობილიზებული და ყველა ჩვენი მომიჯნავე სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში.

გავრცელდა ხმები, რომ დროულად არ უშვებდით ბრიგადებს, არ პასუხობდით ზარებს. რას გვეტყვით ამის შესახებ?

ეს ნამდვილად არასწორი ინფორმაციაა. იყო სამი ძირითადი ცვლა, ერთი სარეზერვო ჯგუფი იყო კიდევ გამოძახებული, მეც აქ ვიყავი, ცვლის სხვა უფროსებიც და უბრალოდ ზარების უპრეცენდენტო რაოდენობამ გამოიწვია პასუხების დაყოვნება. არავის არ ეთიშება ზარი, ყველა ზარი ფიქსირდება, ისიც კი ფიქსირდება, ოპერატორი თიშავს თუ ინიციატორი. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ არის ეს სიმართლე და ინფორმაციები ყველა სამსახურზე იყო სწრაფად გადაცემული. თუ ვინმე ვერ მიდიოდა დაზარალებულამდე, მხოლოდ იმის გამო, რომ მისასვლელი არ იყო უბრალოდ, სტიქია იყო იმდენად ძლიერი, რომ ფიზიკურად ვერ ხერხდებოდა მისვლა. თუმცა ყველა სამსახური იყო ადგილზე და რაც შეეძლოთ აკეთებდნენ მაქსიმალურად. ძალიან ბევრმა პატრულის თანამშრომელმაც თავი გაწირა და ტრამვები აქვთ მიღებული, მანქანები მათიც წაღებულია წყლის მიერ და ასევე მაშველებმაც ბევრმა მიიღო დაზიანება და როგორც გვაქვს ინფორმაცია, დაკარგულიც უნდა იყოს მაშველი. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ ვინმე არ მივიდა დაზარალებულებთან, ცოტა არაკორექტული ნათქვამია.

შეგიძლიათ გვითხრათ როგორ ზარები შემოდიოდა, რას ითხოვდნენ კონკრეტულად?

კონკრეტულად რაც იყო მეწყერის შესახებ, წყალდიდობის შესახებ, შუქი არ ჰქონდათ, გამოყვანას ითხოვდნენ, იყვნენ დაზარალებულები, რომელთაც წყალმა ავტომანქანები გასტაცა. დღემდე გრძელდება ეს ზარები, მანქანას ეძებენ, პიროვნებას ეძებენ, და ასე შემდეგ. ძირითადად, შველას ითხოვდნენ, დატბორილი იყო მათი სახლები, შლამი იყო და გამოყვანა უნდოდათ ხალხის.

დაკარგულების შესახებ ხომ არ გაქვთ ინფორმაცია? მაგალითად რაოდენობა რამდენია ამჟამად?

ეს უკვე პრესცენტრს უნდა მიმართოთ, დაკარგულების, გარდაცვლილების შესახებ ინფორმაციას იქ მოგაწვდიან. ამაზე სამწუხაროდ მე ვერ გაგცემთ პასუხს, არ მაქვს უფლება, მიმართეთ პრესცენტრს და ყველა ინფორმაცია საჯაროა, როგორც ვიცი. უნდა ითქვას, რომ ცოცხლად ნაპოვნი ადამიანებიც არსებობენ.

თუ ყოფილა შემთხვევა რომ გამოჩენილიყო დაკარგული ადამიანი, რომელიც მისიანებს ვერ უკავშირდებოდა?

იცით რა, ესეც ცოტა ისეთი ინფორმაციაა, გვაქვს ცოცხლად ნაპოვნი ადამიანების შესახებ ინფორმაცია, გვაქვს გვამების შესახებაც და დაკარგულების, მაგრამ ამ ინფორმაციების გასაჯაროვება უკვე სხვა სამსახურის პრეროგატივაა.

ნათია მელქაძე

წყარო: www.tvfree.ge

სხვადასხვა მედია საშუალებებითა და 112-ის Facebook გვერდზე სტიქიის შემდგომ პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას თავი შეეკავებინა არათემატური და ცრუ ინფორმაციის შემცველი ზარებისგან.

შს მინისტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა

შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას უწყებების პირველმა პირებმა: შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ხელი მოაწერეს. დოკუმენტი ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებასა და განვითარებას, საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვას, ეკოტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს.

მემორანდუმის თანახმად, უწყებები კანონმდებლობით დადგენილ ისეთ ერთობლივ ღონისძიებებს განახორციელებენ, რომლებიც მიმართული იქნება თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევაზე დროულ რეაგირებასა და მათ პრევენციაზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის თითოეული ფაქტის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსული ყველა ზარი რეაგირებისთვის ოპერატიულად გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - 112-ს. შესაბამისად, 112-ში დარღვევების შესახებ შემოსული შეტყობინება ოპერატიულად გადაეცემა რეაგირებისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს.

აგრეთვე, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის თითოეულ ფაქტზე შეტყობინება გადაეცემა ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა საგადასახადო სამართალდარღვევის ნიშნები (სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება და ა.შ.).

უწყებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის პრევენციის და მასზე რ-

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა: „ეს ძალიან მნიშვნელოვანი მემორანდუმია. ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ გარემოს, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან ამ მიმართულებით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ხე-ტყის უკანონო ჭრა, ასევე ნადირობა, თევზაობა, უკანონობა, ეს ძალიან დიდ ზარალს აყენებს და ზიანს აყენებს ჩვენს ქვეყანას, იგივე მდინარეებს , ასევე ფლორას და ფაუნას. ახლა იქნება, როგორც კი სიგნალი შემოვა 112-ში, გადავა გარემოს დაცვის სამინისტროში, რომელი ჯგუფიც ახლოს იქნება, აუცილებლად რეაგირებას მოახდენს, ეს იქნება პოლიციური დანაყოფი თუ გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები და აქედან გამომდინარე, უფრო მეტად იქნება კონტროლზე და იქნება აღკვეთილი ყველა უკანონო, იგივე ეს იქნება წიაღისეულის მოპოვება თუ მნიშვნელობა არ აქვს, ყველანაირი, ბუნებრივ ზიანს ვინც აყენებს, უკანონოდ რა თქმა უნდა, ლიცენზიის გარეშე“. ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმების და კანონით გათვალისწინებული, მოქალაქეების უფლების შესახებ.

შსს ევროპის რეგიონულ კონფერენციაზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2015 წლის 3-4 ივნისს, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ევროპულ რეგიონულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. დელეგატებს მიესალმნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი რეფორმებისა და სახელმწიფო სერვისების გამარტივების დარგში ტიერი მანდორი და სხვა მაღალი რანგის სტუმრები. კონფერენციას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, მთავრობის წევრები,„OGP“-ის 30-ზე მეტი წევრი ქვეყნის, სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მაღალი დონის წარმომადგენლები, მათ შორის „OGP“-ის მმართველი კომიტეტის რამდენიმე წევრი ქვეყნის მინისტრი. „OGP“-ის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობის შექმნა, სწორედ ამას ემსახურებოდა ორდღიანი კონფერენცია, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“ გაიმართა.

ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს მონაწილეობის ბოლო 2 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო. სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმის თანახმად, შს სამინისტროს 5 პროექტის განხორციელების ვალდებულება დაეკისრა, რომელთაგან 4 შესრულებულია. შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ პრემიერ-მინისტრსა და მოწვეულ სტუმრებს სამინისტროს მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელე-

ბული პროექტები გააცნო. კერძოდ: დაინერგა ონლაინ კონსულტაციის მექანიზმები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი ხელმისაწვდომი გახდა, შეიქმნა და გამოქვეყნდა შსს-ს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგები. შეიქმნა 112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები: ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს გადაუდებელ შემთხვევებში შეუძლიათ 112-თან დაკავშირება მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ვიდეოზარით ჟესტურ ენაზე, ასევე განგაშის სიგნალის 112-ში გაგზავნა შესაძლებელი იქნება მაშინაც, თუ პირი გასულია მობილური ოპერატორების მომსახურების ზონიდან (GPS ტრეკერით); მეხუთე პროექტი „ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენული რუკის შექმნა“ მალე დასრულდება. კონფერენციის ფარგლებში, შსს-მ აღნიშნული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა.

საქართველო პირველი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ შეხვედრას უმასპინძლა. კონფერენციის ჩასატარებლად „OGP“-ის მონაწილე 65 ქვეყანას შორის საქართველომ მასპინძელი ქვეყნის სტატუსი ღია მმართველობის კუთხით წარმატების გამო მოიპოვა.

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ 2011 წელს აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ინიციატივით დაფუძნდა, რომელსაც საქართველო იმავე წელს შეუერთდა.

დღეისათვის ამ ინიციატივაში 65 სახელმწიფო მონაწილეობს. მათი საერთო მიზანია, უზრუნველყონ მთავრობათა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. 2013 წელს პარტნიორობის წევრმა ქვეყნებმა, საქართველო მთავრობის ღიაობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით გადადგმული წარმატებული ნაბიჯების გამო, „OGP"-ის მმართველ კომიტეტის წევრად აირჩიეს. აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს.

საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ

2015 წლის 9 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის“ ფარგლებში, საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის IX-X-XI კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ.

აღნიშნულ პროექტში მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით ჩაერთნენ და ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა.

პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

ვიზიტის ფარგლებში, ახალგაზრდებმა დაათვალიერეს 112-ის სამუშაო დარბაზი, ადგილზე გაეცნენ სამსახურისა და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას. სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების უნიკალური ნომრის - 112-ის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. ასევე, მოზარდებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ 112-ზე. გაიგეს, რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი 112-ზე დარეკვით. 112-ში სტუმრობის დროს სკოლის მოსწავლეებმა სამსახურის წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია ცრუ ზარის განხორციელება 112-ზე და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში. ბავშვები დაინტერესდნენ 112-ის SMS და ვიდეო ზარით და გაიგეს როგორ უნდა ისარგებლონ აღნიშნული სერვისით ყრუ და სმენადაქვეითებულმა პირებმა.

კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ განხორციელდება, როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების საჯარო სკოლებში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში.

1 ივნისს 112-ის თანამშრომლები მრავალშვილიან, გაჭირვებულ ოჯახებს ესტუმრნენ

2015 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები მრავალშვილიან, გაჭირვებულ ოჯახებს ესტუმრნენ.

112-ის თანამშრომლებმა საკუთარი ინიციატივით შეაგროვეს თანხა და სხვადასხვა საჭირო პროდუქტი პართეონ ღვალაძის ათშვილიან და ელენე ძოძუაშვილის შვიდშვილიან ოჯახებს გადასცეს.



ჰოლანდიელი პოლიციელების ეკიპაჟებს რამდენიმე ათასი ფუმფულა დათუნია დაემატა

ჰოლანდიელმა პოლიციელებმა ეკიპაჟის აუცილებელ აღჭურვილობად, სხვადასხვა სახის გადამცემთან და ახალ მოწყობილობებთან ერთად, რამდენიმე ათასი ფუმფულა დათუნია მიიღეს. მათი ტარება აუცილებელი პირობა გახდა ნებისმიერი საპატრულო ეკიპაჟისთვის, რადგან ამ გზით პოლიციელებს მეტად შეეძლებათ სხვადასხვა ცუდ სიტუაციებში აღმოჩენილი ბავშვების დახმარება.

„ხშირია სიტუაციები, ოჯახური გარჩევები თუ ავტოსაგზაო შემთხვევები, სადაც ბავშვები არიან ჩარეულები, ჩვენ კი იმ წუთას მათთვის ყველაფრის წესის მიხედვით ახსნა გვიჭირს. ისინი შეშინებულები და უმეტესად შოკურ მდგომარეობაში არიან. ირგვლივ არავის იცნობენ და სხვების ნდობაც უჭირთ. ამ გზით კი ვცდილობთ პატარებს ის მინიმალური კომფორტი მაინც შევუქმნათ, რისი შეთავაზებაც იმ რთულ სიტუაციაში შეგვიძლია. ამიტომ დათუნიები ყოველთვის ჩვენთან ერთად იქნებიან“ - ამბობს ჰოლანდიის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

წყარო: http://goodnews.on.ge

ბოდიშის წერილი

ამერიკელი ბავშვი 911-ის ოპერატორებს, გადაუდებელი დახმარების ცენტრში, ცრუ ზარის განხორციელების შემდეგ საბოდიშო წერილს წერს.

11 უცნობი ბავშვი, ჯორჯიას შტატიდან, მშობლებმა აიძულეს, არა მარტო დაეწერა საბოდიშო წერილი, არამედ წაიყვანეს იგი ადგილობრივ პოლიციის განყოფილებაში, რათა პირადად მოეხადა ბოდიში 911-ის თანამშრომლებისთვის.

ქვემოთ შეგიძლიათ წაიკითხოთ VI კლასის მოსწავლის ბოდიშის წერილი:

„ძვირფას, გადაუდებელი დახმარების დისპეტჩერს,

ვწერ საბოდიშო წერილს გუშინდელი ჩემი საქციელის გამო. გუშინ, ხუმრობის მიზნით მე განვახორციელე ცრუ ზარი.

ვიცი, რომ ეს იყო სისულელე. ვიცოდი რასაც ვაკეთებდი, მაგრამ მაინც დავრეკე. მაპატიეთ ის რაც ვთქვი. მე ვიცი, რაც მოჰყვება ამას. კვლავაც გთხოვთ, მაპატიოთ, თუ შეგიძლიათ. მე და ჩემი მეგობრები ვერთობოდით და მე გავბედე თქვენთან დარეკვა.

მე ამისგან ვერაფერი მივიღე, ძალიან ვწუხვარ და ეს არის ჩემი ბოდიშის წერილი თქვენთვის. ვიმედოვნებ თქვენ შეგიძლიათ მაპატიოთ.

გულწრფელად ...“

ჯორჯიას შტატის გადაუდებელი დახმარების ცენტრის შემადგენლობამ მიიღო ბავშვის წერილი და აპატია მას ჩადენილი საქციელი.

წყარო: www.independent.co.uk



Dear Emergency Dispacher,

I am writing a apology letter for what I did last night. Last Night I called and said "Dezz Nuts". I Know this was stupid but I was not listening to myself but I knew it was wrong. Please forgive me for what I said. I know there will be consequences for my actions and I will not complaine about them. Again please if you can forgive me if you can. What happend was that me and my friends were talking and I got dared to call you. I would get nothing out of it and only get in trouble for it. In the end I got in trouble for it and this is a letter for you. I am sorry for what I did and hope that you can forgive me.

Sincerely,

პერძო დეტექტივი

სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი, საავტორო წიგნში - „NEE NAW: Real Life Dispatches From Ambulance Control", გვიყვება ამბავს მამაკაცზე, რომელიც ცოლს 999-ს დახმარებით ეძებდა.

6 იანვარი 2006

999-ზე შემოვიდა ზარი მამაკაცისგან, რომელსაც ცოლმა დაურეკა და უთხრა რომ ასთმის შეტევა ჰქონდა. მამაკაცმა იცოდა, რომ მისი მეუღლე მეგობრის სახლში იმყოფებოდა, იცოდა ტელეფონის ნომერიც, თუმცა არ იცოდა მისამართი. დაგვირეკა იმ იმედით, რომ ტელეფონის ნომრის საშუალებით დავადგენდით მისამართს და დავეხმარებოდით, რომ მეუღლე ენახა.

„ჩვენ შეგვიძლია მისამართის მოძიება, მაგრამ არ გვაქვს უფლება გითხრათ მოძიებული ინფორმაცია, შეგვიძლია სასწრაფო დახმარება გავუშვათ" - ვუთხარი მას.

მამაკაცს ეს არ ესიამოვნა, თავად სურდა შეემოწმებინა მეუღლის მდგომარეობა. შევთავაზე ეკითხა მეუღლის მეგობრისთვის, მაგრამ მან მითხრა, რომ ის იქ არ იმყოფებოდა. გადავწყვიტე დამედგინა მისამართი და შემდეგ დამესვა კითხვები. BT ოპერატორმა დაადგინა მისამართი და მამაკაცს ვუთხარი რომ ვაპირებდი სასწრაფო დახმარების გაშვებას.

„კარგი, გამაგებინეთ როგორც კი სასწრაფო დახმარება მივა ადგილზე" - თქვა მან და ყურმილი დაკიდა. მე მივედი დისპეტჩერთან და გავაფრთხილე ყურადღებით ყოფილიყვნენ მამაკაცთან საუბრისას, რადგან ის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის რომ მეუღლის ადგილსამყოფელი გაეგო.

სასწრაფო დახმარების ბრიგადას ადგილზე არავინ დახვდა. დისპეტჩერმა მამაკაცს დაურეკა:

„დარწმუნებული ხართ რომ აქ არის? სახლის კარი დაკეტილია და იძულებულები ვართ პოლიცია გამოვიძახოთ, რომ კარი გავაღოთ".

„არ არის საჭირო პოლიციის გამოძახება, მითხარით მისამართი და მოვალ" - თქვა მამაკაცმა.

დისპეტჩერმა მაინც დარეკა პოლიციაში, ორ წუთში კი მათგან მიიღო მესიჯი: „ამ კვირის მანძილზე რამდენჯერმე შემოვიდა ზარი მამაკაცისგან, რომელიც ცოლმა მიატოვა და ცდილობს მისი ადგილმდებარეობის დადგენას. არ გასცეთ მისამართი. პოლიცია მიხედავს. გმადლობთ".

ისტორიის ყველაზე ჯავიანური და „თავხედური " ძარცვები

ისტორია არაორდინალური კრიმინალური ავტორიტეტებისგან ხშირად ქმნის კერპებს. იმ მძარცველებსაც კი, ვისთვისაც სულ ერთია, მათი მსხვერპლი მდიდარია, თუ ღარიბი – ხშირად ჰყავთ ფანატები, რომლებიც აღტაცებულნი არიან მათი გაბედულობითა და თავხედობითაც კი.

სამართალდამცავი სისტემის დახვეწისა და ტექნოლოგიური პროგრესის ერაში კრიმინალები კიდევ უფრო „გაეშმაკდნენ" და მათმა კრეატიულობამაც იმატა.

სარკინიგზო გადაზიდვების დანერგვამ 1811-ში ქვეყნის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება განაპირობა. თუმცა, სულ მალე ამერიკელ მეწარმეებს ახალი თავის ტკივილი გაუჩნდათ ჯესი ჯეიმსის შეუბრალებელი ბანდის სახით. „დიდი დეპრესიის პერიოდში" (20-იან წლები) ამერიკის უმსხვილესი ბანკების ძარცვა ჯონ დილინჯერის სახელს უკავშირდება. ამ ფაქტმა ხალხში სოლიდარობის გრძნობა გამოიწვია, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეკონომიკურ კოლაფსში სწორედ საბანკო სისტემას ადანაშაულებდა. ამავე წლებში, ბრიუსელში, ბანდამ დაამტკიცა, რომ ბრილიანტების მასიური ქურდობა ჯერ კიდევ მოდაშია.

რაც არ უნდა დიდი იყოს ხაფანგი, ყოველთვის მოიძებნებიან საკუკარას მოპარვისა და დაუფლების მსურველი თაღლითები. გთავაზობთ, ისტორიის ყველაზე ჯავიანური და „თავხედური" ძარცვების რამდენიმე ფაქტს:

1. თავდასხმა ათასწლეულის თაღზე

2000 წელს, ლონდონში როგორც იქნა დასრულდა „ათასწლეულის თაღის" სახელწოდებით ცნობილი უზარმაზარი ნაგებობის მშენებლობა. შენობაში, სხვა ბევრ გამოფენასთან ერთად, ბრილიანტების ექსპოზიციაც იყო მოწყობილი, რომელზეც მთავარი ექსპონატი „ათასწლეულის ვარსკვლავი" (203 კარატიანი, 250 მილიონი დოლარის ღირებულების ალმასი) გახლდათ. მძარცველები აპირებდნენ იერიშით შევარდნილიყვნენ შენობაში, მოეტაცათ ძვირფასეულობა და გაქცეულიყვნენ კატერით, თუმცა გეგმა ჩაიშალა, რადგან ლონდონის პოლიცია მათ უკვე უთვალთვალებდა და დამნაშავეები ადგილზევე აიყვანეს.

2. იზაბელა სტიუარტ გარდნერის მუზეუმის ძარცვა

1990 წელს, მთელი ბოსტონი წმინდა პატრიკის დღეს ზეიმობდა. ამ დროს, პოლიციის ფორმაში ჩაცმული ორი მძარცველი მუზეუმში შეიპარა და ხელოვნების 13 ნიმუში, მათ შორის რემბრანდტის, კლოდ მონეს და დეგას ტილოები მოიპარა. საერთო ზარალმა 500 მილიონი დოლარი შეადგინა. ახლა დარბაზში ცარიელი ჩარჩოებიღა კიდია იმ იმედით, რომ ოდესმე ტილოები ადგილს დაუბრუნდება. დღევანდელი მდგომარეობით, ეს ერთ ერთი ყველაზე გახმაურებული გაუხსნელი დანაშაულია.

3. ბანკის ძარცვა კისერზე ჩამოკიდებული ყუმბარით

მათთვის, ვისაც ნანახი აქვს ფილმი „მოასწრო 30 წუთში“ ისტორია ალბათ ნაცნობი იქნება, თუმცა რეალობა ბევრად უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ფილმის სიუჟეტში გახლავთ. 2003 წელს, პიცის მიმტანი მივიდა ბანკში და ბანკის თანამშრომელს გაუწოდა ბარათი წარწერით - „გთხოვთ, მომცეთ ფული“, შემდეგ მაისური აიწია და გამოაჩინა კისერზე ჩამოკიდებული ასაფეთქებელი მოწყობილობა. 15 წუთში პოლიციამ დამნაშავე დააპატიმრა. მძარცველი ყვიროდა, რომ იგი აიძულეს და ყუმბარა წუთი წუთზე აფეთქდებოდა. პოლიციის რაზმმა ალყა შემოავლო შენობას, მაგრამ გამნაღმველების მოსვლამდე ყუმბარა აფეთქდა...

4. ერაყში აშშ-დან გამოგზავნილი 6 მილიონის ღირებულების დახმარება მოიპარეს

პოსტ-სადამური პერიოდის ქაოსში ვიღაცამ მოახერხა და აშშ-დან ერაყის დასახმარებლად გამოგზავნილ 6 მილიონ დოლართან ერთად

გაუჩინარდა. გენერალურმა ინსპექტორმა ერაყის აღდგენის დარგში - სტიუარტ ბოუენმა განაცხადა, რომ ვერ დაითვალა თანხა და ეს ფაქტი „ნაციონალური ისტორიის ყველაზე მსხვილ ქურდობად“ აღიარა. დანაშაული დღემდე გაუხსნელია.

5. დიდი ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინი და ტომას ბლადი

ტომას ბლადმა, დაქირავებულმა ირლანდიელმა მკვლელმა, გადაწყვიტა ძალები ახლა ძარცვაში მოესინჯა. მისი ძარცვის „მოკრძალებული“ ობიექტი კი არც მეტი, არც ნაკლები, ბრიტანეთის დედოფლის გვირგვინის ძვირფასეულობა გახლდათ. გვირგვინი ტაუერის ციხე-სიმაგრეში ინახებოდა და მას გაძლიერებულად იცავდნენ.

ბლადის გეგმა ასეთი გახლდათ: გრიმი; ცრუ ტიტული; ცრუ მეუღლე (როლი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონმა შეასრულა) და ცრუ ნათესავი, რომელიც თითქოსდა აპირებდა ედვარდ ტალბოტის (სამეფო გვირგვინის მცველი) ქალიშვილზე დაქორწინებას.

მძარცველებმა შეაღწიეს შენობაში, თავში ჩარტყმით გონება დააკარგვინეს ტალბოტს, ჩაამსხვრიეს მინები, აიღეს ძვირფასეულობა და გაქცევა სცადეს. მაგრამ შორს წასვლა ვერ მოახერხეს, მცველებმა ისინი ცხენებიდან ჩამოათრიეს.

ბლადს გაუმართლა, მეფე კარლ II ისე გაამხიარულა ამ ფაქტმა, რომ მან ბლადი შეიწყალა და ქვეყნის დატოვების და ირლანდიაში გადასვლის უფლება მისცა.

6. ქურდობა ფრანგული ბანკის საცავში

2010 წელს, მძარცველთა ბანდამ გათხარა გვირაბი და შეაღწია პარიზის ერთერთი ბანკის საცავში. დამნაშავეებმა დეპოზიტური ყუთები გა-

ძარცვეს, რომლებიც ბანკის შეძლებულ კლიენტებს ეკუთვნოდათ და ისინი თავად განკარგავდნენ მათ, ამიტომ ზარალის ზუსტი ოდენობა უცნობია. მსგავსი დანაშაული ერთი თვით ადრეც მოხდა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ასევე დეპოზიტური ყუთები გაძარცვეს. დანაშაული დღემდე გაუხსნელია.

7. „დიდი" ძარცვა

1963 წელს, ინგლისის საფოსტო მატარებლიდან 50 მილიონი ფუნტის ოდენობის თანხა მოიპარეს. 15 კაციანმა ბანდამ ამის გაკეთება იარაღის გარეშე მოახერხა. კუპიურები გასანადგურებლად გადაჰქონდათ და ვერასოდეს ვერავინ მიაგნებდა დამნაშავეთა კვალს რომ არა მათი უგუნურება - მძარცველებმა მიტოვებულ ამბარში, მოპარული ფულით „მონოპოლია" ითამაშეს! რა თქმა უნდა მთელს შენობაში მათი თითების ანაბეჭდები დარჩა...

8. დ.ბ.კუპერი

დ.ბ.კუპერმა განახორციელა აშშ-ს ისტორიაში ერთადერთი გაუხსნელი გატაცება - მან თვითმფრინავი გაიტაცა!

1971 წელს, უცნობი მამაკაცმა (დ.ბ.კუპერი) გაიტაცა ბოინგ-727, მიიღო გამოსასყიდი თანხა 200 ათასი დოლარის ოდენობით და პორტლენდსა და სიეტლს შორის ტერიტორიაზე გადმოხტა თვითმფრინავიდან ფულთან ერთად. გამოძიება დღემდე გრძელდება. არც დამნაშავის გვამი, არც ფული ნაპოვნი არ არის. ამ ადამიანის ბედი უცნობია, მაგრამ 40 წელია საქმე დაუხურავია.

9. ძარცვა ვერტმფრენიდან

2009 წელს, შვეიცარიის პოლიცია დამნაშავეთა კარგად ორგანიზებული ბანდის კვალს დაადგა. დამნაშავეებმა ვერტმფრენი პირდაპირ ბანკის სახურავზე დასვეს, შეამტვრიეს მინები, ააფეთქეს დაჯავშნული კარები, შეაღწიეს საცავში და აპირებდნენ ნაძარცვით გაუჩინარებულიყვნენ, მაგრამ პოლიციამ ისინი ადგილზე აიყვანა. 7 წელზე მეტი, არც ერთი დამნაშავისთვის არ მიუსჯიათ.

10. ძარცვა ანტვერპენში

2003 წელს ანტვერპენის ბრილიანტების ცენტრში მომხდარ ძარცვას „საუკუნის ძარცვა“ უწოდეს. ორგანიზატორი იყო ლეონარდო ნოტარბარტოლო, რომელიც ადრე ნასამართლევი გახლდათ და 3 წლიანი სასჯელიც ჰქონდა მოხდილი. ნოტარბარტოლომ ნდობა მოიპოვა ალმასების ცენტრში, როგორც იტალიელმა დილერმა. 130 ყუთიდან, 123 გატეხეს, ოქრო, ბრილიანტი და სხვა ძვირფასი ქვები მოიპარეს. ლეონარდო ნოტარბარტოლო ადგილზე დააკავეს, სხვებმა მიმალვა მოახერხეს.

ზარალი 100 მილიონ დოლარად შეაფასეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ცოტა გაზვიადებული განაცხადი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ, ნოტარბარტოლომ ჟურნალ „Wired“-თან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ რეალურად ზარალი 20 მილიონ დოლარს შეადგენდა, რომლის უდიდესი ნაწილის ანაზღაურება სადაზღვეო კომპანიას მოუწია.

წყარო: www.fresher.ru



ძაღლი უსინათლო პატრონის გადასარჩენად ავტობუსს შეუვარდა

გმირები ჩვენ შორის ცხოვრობენ. ნიუ-იორკთან ახლოს ერთი ამბავი მოხდა, სადაც გამყოლი ძაღლი მზად იყო პატრონის გადასარჩენად თავი გაეწირა.

62 წლის უსინათლო ქალბატონი ქუჩაზე, თავის გამყოლ ძაღლ ფიგოსთან ერთად გადადიოდა.

ფიგომ, რომელმაც მათკენ დიდი სიჩქარით მომავალი სკოლის ავტობუსი შენიშნა პატრონის დასაცავად ყველაფერი გააკეთა. ის ავტობუსს ბორბლებში შეუვარდა და დარტყმის ძირითადი ნაწილი საკუთარ თავზე აიღო. გმირმა ძაღლმა, რომელმაც სერიოზული ტრავმა მიიღო, არ ისურვა პატრონის მიტოვება და ექიმების იქ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში პატრონს ელოდებოდა.

ამჟამად ფიგო და მისი პატრონი გამოჯანმრთელების გზაზე არიან. ისინი კვლავ ერთად და ბედნიერად იცხოვრებენ. ფიგო მას ყოველთვის ერთგულად დაიცავს.



წყარო: www.zooclub.ge

რას ხატავთ ფურცელზე? - ყველაზე საინტერესო ტესტი საკუთარი თავის ამოსაცნობად

ბევრ ადამიანს საოჯარი ჩვევა აქვს – ტელეფონით საუბრისას ქაღალდზე ფიგურების ხატვას ინყებს. ზოგი კუბიკებს, ყვავილებსა თუ იეროგლიფებს გამოსახავს, ზოგიყ საკუთარი სახელისა და გვარის წერას ინყებს. ეს არყ თუ უმნიშვნელო დეტალია. ასეთი „ნაჯღაბნი" ადამიანის გრძნობებზე მეტყველებს – დარდსა თუ სიხარულზე, სიყვარულსა თუ სიძულვილზე და ა.შ. ასე რომ, თუ „ჯღაბნის" მანია თქვენყ გახასიათებთ, დაკვირდით, რას ხატავთ. ეს ტესტი კი საკუთარ გრძნობებსა და ემოყრებში გარკვევაში დაგეხმარებათ.

სახელი და გვარი - ქაღალდზე საკუთარ ფაქსიმილიეს ეგოცენტრული და პატივმოყვარე ადამიანები აკეთებენ. ასეთი „ნაჯღაბნი" იმის მაუწყებელია, რომ საკუთარ პერსონაზე ჩაიციკლეთ. შესაძლოა, ვიღაცაზე დაბოღმილიც იყოთ.

სპირალები - თქვენი გონება ერთი პრობლემის ირგვლივ ტრიალებს და გამოსავალს ვერ პოულობთ. რაც უფრო ბევრია ქაღალდზე გამოსახული სპირალების რაოდენობა და რაც უფრო მკვეთრია ისინი, მით უფრო სერიოზულია პრობლემა.

სახლები და კვადრატები - სიმეტრიული ფორმები წესრიგის-მოყვარულობაზე მიუთითებს. ასეთი პიროვნების წყობიდან გამოყვანა ძნელია, საკუთარ აზრს ყოველთვის მედგრად და წარმატებულად იცავს.

საუბარი ფანტაზიებს აღგიძრავთ და სასიამოვნო განწყობას გიქმნით. საერთოდ, ასეთი ნახატები თქვენს ოპტიმისტურ და კარგ ხასიათზე მეტყველებს.

წრეები და რკალები - ერთმანეთზე გადაბმული ან ერთმანეთში ჩახატული წრეები მარტოსულობაზე მეტყველებს. თავს საზოგადოებიდან გარიყულად გრძნობთ და სურვილი გაქვთ, ცხოვრების ფერხულში ჩაებათ. ქვეცნობიერი გკარნახობთ, რომ სიყვარული და ყურადღება გაკლიათ.



ჯვადრაკის დაფა - ასეთი ნახატით საკუთარი ქვეცნობიერი გკარნახობთ, რომ ამჟამად კომპრომისებისათვის მზად არ ხართ, რომ თქვენში აგრესიამ იმატა და წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებას არ აპირებთ.

წყარო: www.mediamall.ge

ყვავილები, მზე, ღრუბლები - მიანიშნებს, რომ სატელეფონო საუბრით ერთობ კმაყოფილი ხართ. როგორც ჩანს,

ქათამი ნეკერჩხლის სიროფით

(112-ის ოპერატიული მართვის სამსახური)

მომზადების წესი:

მდოგვი, ნეკერჩხლის სიროფი, ზეითუნის ზეთი, როზმარინი და ნიორი ავურიოთ და დავასხათ ქათმის ნაჭრებს. კარგად ავურიოთ და ჩავაწყოთ მჭიდროდ ღუმელის ფორმაში. გავახუროთ ღუმელი 190°C და ვაცხოთ 45-60 წთ.

მასალა:

ქათამი – 1 კვლი

მდოგვი – 1/4 ჭიქა

ნეკერჩხლის სიროფი – 2 ს/კ
(ხელმისაწვდომია ჰიპერმარკეტებში)

ზეითუნის ზეთი – 1/2 ს/კ

როზმარინი – 1/2 ს/კ

ნიორი – 1 კბილი

გილოცავთ...

დაქორწინებას ვულოცავთ
ანა ძაბახიძეს
შვილის შეძენას ვულოცავთ
დიმიტრი ჯავახიშვილს, დავლი ბოჭორიძეს
და ლელა კოპაძეს

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge
112news@112.ge